



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი №1

08/06/2022 წელი

ქ. ბათუმი
12⁰⁰ საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.

სხდომას ესწრებოდნენ: ნოდარ მელაძე, ტარიელ გოგიტიძე, ირაკლი გვარჯალაძე და მარიამ გუგუნივა.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;
წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ;

2. სხვადასხვა.

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კომისიის წევრებს წარუდგინა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტი. პარმენ ჯალაღონიას, განცხადებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია, ამტკიცებს უსკოს მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება უსკოს მომავალი წლის საბიუჯეტო დაფინანსება.

აზრი გამოთქვას:

კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალაღონიამ, კენჭისყრაზე დააყენა წინადადება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე 5;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 5 წევრი:)

მიღებულია განკარგულება:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ყ“ ქვეპუნქტის და 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2023 წლის საბიუჯეტო განაცხადი, დანართის შესაბამისად.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

(თან ერთვის)

2. სხვადასხვა.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალაღონია

კომისიის მდივანი

ტარიელ გოგიტიძე